

შპს „ლეგიონი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლ
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1,353,107	1,350,726	1,230,900
არამატერიალური აქტივები	4	31,302	31,302	400
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,384,409	1,382,028	1,231,300
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	4,537	11,684	19,887
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	39,862	48,966	174,659
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	14,801	17,892	23,895
საგადასახადო აქტივი		-	10,630	96,162
სულ მიმდინარე აქტივები		59,200	89,172	314,603
სულ აქტივები		1,443,609	1,471,200	1,545,903
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	17,509	75,317	141,648
საგადასახადო ვალდებულება		5,221	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22,730	75,317	141,648
სულ ვალდებულებები		22,730	75,317	141,648
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	1,829,174	1,759,494	1,514,820
გაუნაწილებელი მოგება		(408,295)	(363,611)	(110,566)
სულ კაპიტალი		1,420,879	1,395,883	1,404,254
სულ კაპიტალი და ვალდებულება		1,443,609	1,471,200	1,545,902

დირექტორი

არტურ არაბიან

29 სექტემბერი, 2021 წელი



შპს „ლეგიონი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება, ლ

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი მომსახურებიდან	10	200,990	396,728
თვითღირებულება	11	(14,389)	(18,257)
საერთო მოგება		186,601	378,471
პერსონალის ხარჯი		(123,977)	(311,384)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(102,414)	(307,481)
არასაოპერაციო შემოსავალი		7,098	(12,651)
არასაოპერაციო ხარჯები		(11,992)	-
პერიოდის შედეგი		(44,684)	(253,045)

დირექტორი

არტურ არაბიან

29 სექტემბერი, 2021 წელი




შპს „ლეგიონი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ლ

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	1,514,820	(110,566)	1,404,254
წმინდა მოგება/(ზარალი)		(253,045)	(253,045)
დივიდენდის გატანა		-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	244,674		244,674
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	1,759,494	(363,611)	1,395,883
წმინდა მოგება/(ზარალი)		(44,684)	(44,684)
დივიდენდის გატანა		-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	69,680		69,680
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1,829,174	(408,295)	1,420,879

დირექტორი

არტურ არაბიან

29 სექტემბერი, 2021 წელი



შპს „ლეგიონი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ლ


არაპირდაპირი მეთოდი

	2020 წ.	2019 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე	(44,684)	(253,045)
შესწორებები:		
ცვთა და ამორტიზაცია	-	-
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	-	-
საკუროს სხვაობის ეფექტი	-	-
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	9,104	125,693
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)	-	-
მარაგების (ზრდა)/შემცირება	3,091	6,003
სხვა გრძელვადიანი აქტივის (ზრდა)/შემცირება	-	-
სხვა საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)	10,630	85,532
სავაჭრო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	(57,808)	(66,331)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	5,221	-
გადასახდელი ხელფასების ზრდა/(შემცირება)	-	-
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულების ზრდა/(შემცირება)	-	-
გრძელვადიანი ვალდებულების (ზრდა)/შემცირება	-	-
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	(74,446)	(102,148)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(2,381)	(119,827)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	(30,902)
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,381)	(150,729)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის გადახდა	-	-
სესხის მიღება	-	-
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	-	-
ცვლილებები კაპიტალში	69,680	244,674
დივიდენდის გაცემა	-	-
წმინდა, ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	69,680	244,674
წმინდა ცვლილება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(7,147)	(8,203)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11,684	19,887
საკუროს ოპერაციების ეფექტი ფულად სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	4,537	11,684

დირექტორი

არტურ არაბიან

29 სექტემბერი, 2021 წელი



1. შესავალი**კომპანია და მისი საქმიანობა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლეგიონი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 401983591, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, რ. აგლაძის ქ., N25, შენობა-ნაგებობა N1, IV სართული.

კომპანია წარმოადგენს სპორტულ ობიექტს - სავარჯიშო დარბაზს.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

- კნიაზ დასენი: პ/ნ 01025003374 – 50% წილის მფლობელი;
- ტიტალ დასენი: პ/ნ 01025005903 – 50% წილის მფლობელი;

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 1,829,174 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით. მენეჯმენტის შეფასებით კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალების ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების

პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია ამ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,353,107 ლარს. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სავარჯიშო ინვენტარი/ტრენაჟორები, რომელთა საერთო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 738,116 ლარს

4. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 31,302 ლარს. არამატერიალური აქტივის ძირითადი ნაწილი 27,119 ლარი წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ნაღდი ფული	3,570	2,927	546
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	967	8,757	19,341
	4,537	11,684	19,887

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,938	10,018	1,358
გადახდილი ავანსები	37,922	38,948	173,301
სხვა მოთხოვნები	2	-	-
	39,862	48,966	174,659

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ნედლეული და მასალები	12,194	17,829	23,895
საქონელი	-	-	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	-	-	-
მზა პროდუქცია	152	-	-
საწვავი	2,455	63	-
	14,801	17,892	23,895

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მიღებული ავანსები	87	1,113	106,238
სავაჭრო ვალდებულებები	16,852	73,634	33,410
სახელფასო ვალდებულება	570	570	2,000
	17,509	75,317	141,648

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1,514,820 ლარს. 2019 წლის განმავლობაში კაპიტალი გაიზარდა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,759,494 ლარს. 2020 წლის განმავლობაში კაპიტალი კიდევ გაიზარდა და 2020 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,829,174 ლარს.

10. შემოსავალი მომსახურებიდან

	2020	2019
შემოსავალი სავარჯიშო დარბაზის მომსახურებიდან	200,990	344,357
სხვა შემოსავალი	-	52,371
	200,990	396,728

კომპანია წარმოადგენს სპორტულს ობიექტს - სავარჯიშო დარბაზს. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

11. თვითღირებულება

	2020	2019
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	14,389	18,257
	14,389	18,257

12. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
სხვა ხარჯი	41,691	28,089
საიჯარო ხარჯი	25,424	139,830
კომუნალური ხარჯი	33,048	56,431
საგადასახადო ხარჯი	2,251	14,513
მომსახურების ხარჯი	-	2,440
დასუფთავების ხარჯი	-	36,430
საკანცელარიო ხარჯი	-	1,571
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-	28,177
	102,414	307,481

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები და, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვთ, პირდაპირ ან ირიბად, ზემოთ ხსენებულ პირებს;
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, რომ გააგრძელოს ოპერირება ბაზარზე.

Covid-19-ის მიერ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, კომპანიამ შეძლო საქმიანობის გაგრძელება, შესაბამისი შეზღუდვებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით და შეინარჩუნა საჭირო რაოდენობის თანამშრომლები. შეიძლება ითქვას, რომ Covid-19-ს არსებითი და მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე არ მოუხდენია.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, გარდა Covid-19-სა, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

